

ლემეწყოფ ფაქტორად მიაჩნდა: „ეს გასაოცარი დუალიზმი სულისა და ჩვენი ბუნებისა უებარ მალამოდ ეწამლა ჩვენსავ ეროვნულ არსებობას“³²².

ვფიქრობთ, ქართული კულტურის „შერბილებულმა“ მარგინალური მდგომარეობამ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ანუ იმან, რომ ქართული კულტურა მკაფიოდ და სრულად არ თავსდება არც დასავლურ, არც აღმოსავლურ კულტურულ ტიპში, მართლაც შეარბილდა მისთვის კულტურული გაორებისა და საკუთარი სახის დაკარგვის საფრთხე ორივე ამ სამყაროსთან ურთიერთობაში. დღეს ასეთ საფრთხეს ნათლად გრძნობენ, მაგალითად, მუსლიმური სამყაროს წარმომადგენლები დასავლეთთან ურთიერთობის პროცესში. როგორც ს.ჰანასრი აღნიშნავს, თანამედროვე მუსლიმი, რომელმაც განიცადა დასავლური კულტურის ზეგავლენა, მუდმივად დაძაბულია, რადგან მისი გონება და სული ჩამოყალიბებულია სრულიად სხვა საფუძვლებზე, ვიდრე სეკულარიზებულ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში მცხოვრები დასავლელისა... დასავლური სამყაროს რომელიმე ცენტრში მცხოვრები მუსლიმი, რომელსაც მოდერნიზაცია შეეხო, პოლარული დაძაბულობის ველში არსებობს, ამ ველს ქმნის მსოფლიმხედველობისა და ფასეულობათა სისტემის ორი ურთიერთმოქმედი ტიპი. თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის პრინციპები თითქმის მთლიანად წარმოადგენენ მუსლიმური პრინციპების ანტითეზას.³²³

დასავლეთთან უშუალო კონტაქტი, მისი „პირისპირ გაცნობა“ მასზე არსებული წარმოდგენის პრაქტიკული „შემოწმება“ საქართველოს მუსლიმურ სამყაროზე გვიან მოუხდა. აღმოჩნდა, რომ რეალობა ყოველთვის არ ემთხვევა წარმოდგენას, ჩვენში მიმდინარეობს ფასეულობით ორიენტაციათა ძიების რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი, მაგრამ, შესაძლოა, ჩვენი კულტურის ზემოთ ნახსენებმა მარგინალობამ აგვაცილა „დაძაბულობის ველში“ არსებობის საფრთხე, რადგან ადგილი არ ჰქონია ამოსავალ პრინციპთა ტოტალურ

³²² იქვე, გვ. 149.

³²³ Наср С.Х. О столкновении принципов западной и исламской цивилизаций. – В кн.: Сравнительное изучение цивилизаций. Под ред. Б.С.Ерасова. М., 1998, с.481-484, с.482.

ფასეულობას. მარგინალობის პირობებში ჩამოყალიბებულმა ადაპტაციურმა მექანიზმმა კარგად იმუშავა როგორც აღმოსავლეთქრისტიანულ-ბიზანტიურ, მოგვიანებით – მართლმადიდებლურ-რუსულ, ისე მუსლიმურ სამყაროსთან უმჭიდროესი კონტაქტის დროს. ქართულმა კულტურამ შეძლო ადეკვატური „პასუხის“ მოძებნა ორივე მათგანის გამოწვევაზე“. პასუხის ადეკვატურობის თაობაზე დასკვნის საფუძვლად იძლევა ქართული კულტურის ძირითად მახასიათებელთა შესრინება (თუმცა, ცხადია, არა უცვლელი სახით), პასუხის ფორმა კი სწორედ მარგინალური მდგომარეობით იყო განპირობებული. კერძოდ, ყალიბდებოდა ვითარების შესაბამისი ფასეულობანი, ქცევის სტერეოტიპები, რომლებიც მუდმივად ცვალებად, არამდგრად გარეობაზე ორიენტირებული. აქედან – დროითი ჰორიზონტისა და პასუხისმგებლობის სივრცის სივიწროვე, აგრეთვე ზოგი სხვა ფსიქოლოგიური მახასიათებელი, რომლებიც ქართული კულტურის ტიპოლოგიურ ნიშნებად ჩამოყალიბდა (ან ასეთად მიიჩნევა). რაც შეეხება მარგინალობის ხარისხს ან მის ხანგრძლივობას ქართული კულტურის ისტორიის ცალკეულ ეტაპებზე, ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკე მსჯელობის საგანია.

ვფიქრობ, შეიძლება ითქვას, რომ ქართული კულტურა თავისი ისტორიის მანძილზე მერყეობს სასაზღვრო (განაპირა) და მარგინალურ (სიმბიოზურ?) კულტურად ყოფნას შორის, მცირე პერიოდის გარდა, როცა იგი ჩამოყალიბებადი კულტურული ერთობის ბირთვად ჩაქველდება.

5. ქართული კულტურის ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემა: კულტუროლოგიური ასპექტი

პერიოდიზაციის პრობლემა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. გარკვეული პირობითობის მიუხედავად, მის გარეშე წარმოუდგენელია საისტორიო ცოდნის სფეროში დაგროვილი უზარმაზარი მასალის სისტემატიზება. პერიოდიზაციის სქემები ისტორიის დიაქრონული ჭრილის ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა. ისინი ემ-

ყარება დროისა და სივრცის კატეგორიათა სხვადასხვა ინტერაქციას, აგრეთვე მსოფლიო-ისტორიული პროცესის ნაირგვარ გააზრდეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ პერიოდიზაციას სქემას საფუძვლად უდევს ერთიანი საკაცობრიო ისტორიის აღმართვის/ხაზოვანი გაგება.

ისტორიული კულტუროლოგიისათვის, რომელიც ჩვენში ასევე დარგია, სხვა პრობლემებთან ერთად, პერიოდიზაციის საკითხიც უტალღურია. ეს დარგი კულტურის ფენომენს სწორედ ისტორიკოგრაფიაში განიხილავს, მიიჩნევს რა, რომ კულტურას როგორც სისტემას და მის ცალკეულ ელემენტებს ისტორიული დინამიკა ახასიათებს. ისტორიული კულტუროლოგია, ისევე როგორც საისტორიო მეცნიერების სხვა დარგები, საჭიროებს პერიოდიზაციის მეთოდოლოგიის საფუძვლის განსაზღვრას.

ზემოთქმული ქართული კულტურის ისტორიის პერიოდიზაციის განხილვა ეხება. როგორც უკვე აღინიშნა, თავად ეს ისტორია, ფაქტოლოგიის თვალსაზრისით, კარგადაა შესწავლილი და უკვე კარგა ხანია, კულტუროლოგიურ ასპექტში გააზრებას ელის. როგორც ჩანს, კიდევ ვერ გადავლახეთ ცოდნის დაგროვების ეტაპი. ალბათ, ამას უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აქამდე არ გვიცდია ქართული კულტურის ისტორიის პერიოდიზაციის იმ სქემის გადასინჯვა, რომელიც პრაქტიკულად, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის პერიოდიზაციის, თავისთავად არცთუ მკაფიო კრიტერიუმებზე დამყარებულ სქემას მისდევს. აღნიშნულ სქემაში პერიოდიზაციის კრიტერიუმად ერთგან ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების რომელიღაც ეტაპია მიჩნეული, მეორე შემთხვევაში კრიტერიუმად მსოფლიო მხედველობრივი სფერო (რელიგია) გვევლინება, მესამეში – საგარეო პოლიტიკურ სფეროში მომხდარი ძვრა და ა.შ.³²⁴

ამჯერად შევეცდები ჩამოვყალიბო ქართული კულტურის ისტორიის პერიოდიზაციის ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტი, რომელიც მსოფლიო ისტორიული პროცესის ლოკალურ-ცივილიზაციურ გააზრებას

³²⁴ ეს განცხადება მეტიმეტად კატეგორიული და კრიტიკული რომ არ მოგეჩვენოს, აქვე ვიტყვი, რომ სწორედ ეს ნაკლი ახასიათებს ქართული კულტურის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს, რომლის ორი ავტორიდან ერთი მე გახლავართ.

სქემა. ამგვარი გააზრების ფარგლებში, ქართული (ან ნებისმიერი სხვა) კულტურის ისტორიის პერიოდიზაციის საფუძვლად უნდა აღვიკალოს თავად კულტურაში მიმდინარე პროცესები, რომლებიც განიხილავს კანონზომიერებებითა და სხვა კულტურებთან კონტაქტით განპირობებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამოსავალ წერტილად აღებულია საქართველოს ცივილიზაციური გარემოცვისა და, ამის გამოდინარე, ქართული კულტურის განვითარების პირობების ცვლილებები. წარმოდგენილი სქემა ფაქტობრივი მასალის ათვისების და ინტერპრეტაციის დღევანდელ დონეს შეესაბამება.

მსოფლიო ისტორიული პროცესის ლოკალურ-ცივილიზაციურ გააზრებაზე დამყარებული პერიოდიზაციის სქემა შემდეგნაირად წარმოდგება:

I. უძველესი პერიოდის ქართული კულტურის რაობის შესახებ შეგვიძლია ძნელია ორი ძირითადი მიზეზის გამო: 1) ეს არის ქართული კულტურის ჩამოყალიბების პერიოდი; 2) მასზე არსებული ცოდნა მხოლოდ არქეოლოგიურ მასალას, უცხოელ ავტორთა თხზულებებში შემონახულ ცნობებს და მოგვიანო ხანის ქართული წერილობითი წყაროების ინფორმაციას. ისინი იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ „საქართველოს ისტორიის გარიჟრაჟიდან ... ჩვენი სამშობლოში აზიის დიდ კულტურულ წრეში შედიოდა“³²⁵. უძველეს პერიოდში ქართული კულტურის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა ახლო აღმოსავლეთის დიდი კულტურების (შუამდინარული, ასურული, ეგვიპტური, ურარტული) განაპირას, მათ პერიფერიაზე. ცოტა უფრო დასავლეთში იგი განვითარებას განაგრძობდა დასავლური (ბერძნულ-რომაული) და აღმოსავლური (პართიულ-სპარსული) კულტურების გზა-გზისაყარზე. ჯერჯერობით, ვიდრე აღნიშნული პერიოდის ქართული კულტურის ძირითადი მახასიათებლები შესწავლილი არ არის (ისიც უნდა ითქვას, რომ, მასალის სიმწირის გამო, ამ მახასიათებელთა დადგენა შეუძლებელია რთული საქმეა), რაიმე მკაფიო დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ქართული კულტურის ჩამოყალიბება სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება ორივე სამყაროდან მომდინარე

³²⁵ ქიქოძე გ. ქართული კულტურის პერსპექტივები. – რჩეული თხზ. სამ ტომად, ტ. II, თბ., 1964, გვ. 230.

კულტურული იმპულსების ათვისება-გადაქვეყნების ფონზე.

II. მომდევნო პერიოდი – IV-X საუკუნეები. ამ დროს ქართული კულტურა ქრისტიანული (დასავლური) ცივილიზაციის განაპირა კულტურად შეიძლება განვიხილოთ. სწორედ ამ პერიოდში „სიმბიოზური“ ელინისტური კულტურის ქრისტიანობასთან შერწყმით იქმნება ბიზანტიური კულტურული ტრადიციები, რომლის სფეროში შემოღებული აგრეთვე აღმოსავლური ქრისტიანობის არეალში მოქცეული ქვეყნები, მათ შორის, ისტორიული საქართველოც. ელინისტური კულტურული ტენდენციების საფუძველზე აღმოსავლური ქრისტიანობის წიაღში ყალიბდება ახალი კულტურული ცენტრები, საკუთარი ეროვნული დამწერლობებით და აღმოსავლურ-დასავლურ ცივილიზაციის დამყარებული ეროვნული კულტურული ტრადიციებით³²⁶.

საინტერესოა, რომ თავად ქართველები საკუთარ თავს სწორედ ამ კულტურული სივრცის ნაწილად აღიქვამენ. ამ მხრივ ნიშნობილია იოანე საბანისძის ორი ფრაზა: „რომელნი ესე კურესა ამს ქუეყანისასა“, – ამბობს ერთგან ავტორი; „არა ხოლოთუ ბერძენთა სარწმუნოებაი ესე ღმრთისა მიერი მოიპოვეს, არამც ჩვენცა, შორიელთა ამათ მკვიდრთა“, – აღნიშნავს მეორეგან³²⁷.

როგორც ვხედავთ, ქართველები თავს გარკვეული ერთობის (საყაროს, მთლიანობის) ნაწილად, კერძოდ, მის პერიფერიად მოიხსენებენ. რომელია ეს ერთობა, ამაზე პასუხსაც იოანე საბანისძეს და უფრო ადრინდელ ერთ წყაროში ვპოულობთ. საბანისძე მკაფიოდ შემოსაზღვრავს საქართველოს გარესამყაროს: „ქუეყანა მას ჩრდილისასა, სადა-იგი არს სადგური და საბანაკე ძეთა მაგოვისთა რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მხეც ბუნება, სისხლის მჭამელ, რომელ შჯული არა აქუს“; აღმოსავლეთით – არაბები, აგრესიის სათავე და წყარო; დასავლეთით – „საზღვარ მათდა არს ზღუაი იგი პონტოისაი, სამკვიდრებელი ყოველადვე ქრისტიანეთაი... და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძნებლად ქრისტეს მსახურისა იონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე

³²⁶ გამყრელიძე თ. საქართველო ევროპა თუ აზია? – „Academia“ (ისტორიული-ფილოლოგიური ჟურნალი). ტ.1. თბ., 2001, გვ. 6.

³²⁷ იოანე საბანისძე. წამებაი წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესა პაპისი. – წიგნი: ჩვენი საუნჯე, ტ.1, თბ., 1960, გვ.46-47.

დასა მას ქალაქსა კონსტანტინეპოლისასა³²⁸. ნათელია, რომ ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით საქართველოსათვის უცხო კულტურული სამყაროა, დასავლეთით კი – სწორედ ის ერთობა, რომლის წილად (განაპირად, პერიფერიადა, ანუ, საბანისძის სიტყვით, „ყურედ“, „შორიელად“) ქართველები თავს მოიაზრებენ და რომლის ცენტრი კონსტანტინოპოლია.

აქვე უნდა ითქვას, რომ დასახელებულ პერიოდში ქართველები კონსტანტინეპოლის კულტურის ელემენტებს არაბეთის გზითაც ითვისებდნენ, სადაც ეს კულტურა, გარკვეული ისტორიული პირობების გამო, კამკველიძის სიტყვით რომ ვთქვათ, შედარებით ადრე გადასარგავს³²⁹.

მეორე, უფრო ადრინდელი წყარო გახლავთ ფართადის სიტყვა „დასავლეთის წარჩინებულთა ცნობილ კრებაზე, რომლის ჩანაწერი აგათიას სკოლისტიკოსის თხზულებამ შემოგვინახა. აქაც მკაფიოდ ჩანს ქართველთა მხრივ ბიზანტიურ სამყაროსთან ერთობის გაცნობიერების ფაქტი. ეს ერთობა ემყარება ტრადიციას, ანუ, წყაროს მიხედვით, „მშობლიურ სიტყვებს“; საერთო „საზოგადოებრივ კანონებს, სახელმწიფო წყობილებას და ცხოვრებას“; „მართლმორწმუნეობას და წმინდა საიდუმლოთა შესრულებას“; „აზრთა ერთიანობას“ ბიზანტიელებთან³³⁰.

ისტერიკოსოგლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ ამა თუ იმ კულტურული ერთობის განაპირულობის, პერიფერიულობის განცდა დღემდე მყარადაა ფესვგადგმული ქართულ ცნობიერებაში. 1915 წელს გ.ქიქოძე წერდა: „ჩვენ, ვინც ვეროპაში ვცხოვრობთ ან ვეროპის საზღვარზე, ერთი უებარი წამალი გვაქვს უიმედობის წინააღმდეგ ჩვენ შეურყევლად გვწამს პროგრესის ძლევა მოსილება“³³¹.

³²⁸ იქვე, გვ.54.

³²⁹ კამკველიძე კ. დიდი ქართველი პოეტი და ჰუმანისტი საშუალო საუკუნეებისა. – თბ., 1956, გვ.111-114. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იქვე იგი ეტოულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. I, თბ., 1956, გვ.111-114.

³³⁰ ქართული მჭკვერტიყველება. ძველები და მასალები. შეკრება, ნარკვევი წაუშობლვარა სახელბები დაუროთ ნ.კანდელაკმა. თბ., 1958, გვ.111-114. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ კულტურული ერთობის განაპირულობის, პერიფერიულობის განცდა მყარადაა ფესვგადგმული ქართულ ცნობიერებაში.

³³¹ ქიქოძე გ. ფილოსოფიური პარადოქსები. – გაზ. „განახლებული ივერია“, № 1, ოქტომბერი, 2001, გვ.11.

ქართული კულტურის პროვინციალიზმზე, საერთაშორისო თეორიულ საზრისით ჩვენს „ცივილიზაციურ პროვინციულობაზე“, მკაფიო ევროპოცენტრისტული პოზიციიდან, ლაპარაკობდა კ.კაპანელი³³².

თანამედროვე პუბლიცისტიკაში ასევე არაერთხელ ყოფილა ხას გასმული ჩვენი პერიფერიულობა და განაპირულობა. მაგალითად „ევროპელთა ქედმაღლურ დამოკიდებულებაზე განაპირა კულტურული არეალების მიმართ“, რომელთა რიცხვში ჩვენ შევდივართ, ლაპარაკობს ივ.ამირხანაშვილი³³³. „საქართველო ყველა შემთხვევაში იყო მსოფლიო იმპერიების უკიდურესი პროვინცია“, – აღნიშნავს გ.გვასალია მისი აზრით, იგი დღესაც „დასავლური ინტეგრაციის, ამ უნივერსალური გაერთიანების განაპირა სუბიექტად რჩება და ევროპეისმის უკიდურეს პროვინციას წარმოადგენს. საქართველოს მონაპირის მას მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებს“³³⁴. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა შემთხვევაში საუბარია დასავლური – ბიზანტიური თეოკრატიული (და არა აღმოსავლური) სამყაროს მიმართ ჩვენს განაპირულობასა და პერიფერიულობაზე.

III. XI-XII საუკუნეებში ქართული კულტურა კვლავ რჩება ქრისტიანული დასავლეთის აღმოსავლეთთან სასაზღვრო კულტურულად (ქრისტიანობა ამ დროს მხოლოდ იწყებს გათიშვას დასავლურ და აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროდ, ამიტომ შესაძლებელია მთლიანობის სახით მისი გააზრება). ამ პერიოდში მასში ყველაზე სრულად და ნათლად იყრის თავს დასავლეთთან და აღმოსავლეთთან ხანგრძლივი ურთიერთობის პროცესში შეთვისებული და ქართული ნიადაგზე გადამუშავებული ელემენტები. ამის უბრწყინვალეს მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ „სიბრძნე ბალავარისი“ და „ვეფხისტყაოსანი“. კ. კეკელიძის სიტყვით, ამ დროს „დასავლეთის ელემენტური და აღმოსავლეთის კლასიკური პოეზია საქართველოში ხელ-

³³² კაპანელი კ. ქართული კულტურის სული. – წიგნში: კაპანელი კ. ქართული კულტურის სული. – თბ., 1996, გვ. 322, 324.

³³³ ამირხანაშვილი ივ. რეკვიემი ჩემი საუკუნისათვის. – გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 15-21 ივნისი, 2001.

³³⁴ გვასალია გ. რა არის დღეს ქართული კულტურა. – გაზ. „მერიდიანი“, 2000, 25-27 ოქტომბერი, გვ.8.

ხის ერთმანეთს; დასავლეთში ჰომეროსი, აღმოსავლეთში ფირდოუსი, ხოლო შუაში, მათ მიჯნაზე – საქართველოში – რუსთაველი“³³⁵.

ქართველ მოაზროვნეთა (მთაწმინდელები, ეფრემ მცირე, იოანე ჰეტრიწი, არსენ იყალთოელი) თხზულებებში თავმოყრილია ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების მთელი გამოცდილება, მეორე მხრივ კი, როგორც გერონტი ქიქოძე აღნიშნავდა, „არასოდეს არ დაახლოებია საქართველო კულტურულად ირანულ-არაბულ მსოფლიოს ისე მჭიდროდ, როგორც XII საუკუნეში დაუახლოვდა“³³⁶. საქართველოში კარგად იცნობდნენ და ითარგმნიდნენ კიდევ ფირდოუსის, გურგანის, ხაკანისა და ირანული პოეზიის სხვა კლასიკოსთა თხზულებებს. ასე ჩაისახა ჩვენში „მხატვრული საერო ლიტერატურა, რომლის მსგავსი არც ერთმა სხვა საქრისტიანო ქვეყანამ ამ დროს არ იცის“³³⁷.

ამავე პერიოდში ქართულ კულტურას გაცილებით მეტის პრეტენზია და, რაც მთავარია, შესაძლებლობაც უჩნდება. იგი ახალი, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი კავკასიური კულტურული ერთობის ბირთვული (ცენტრალური) კულტურის როლში გამოდის. ეს პროცესი იდეოლოგიურადაც მზადდება (ლეონტი მროველი, გიორგი მერჩულე, ქართული მესიანისტური იდეა) და პრაქტიკულადაც ხორციელდება, თუმცა ბოლომდე ვერ მიდის და შემდგომში მხოლოდ იდეის პერიოდული გამოცოცხლების ფაქტებით გვახსენებს თავს.

IV. ცალკე პერიოდად შეიძლება გამოიყოს XIII-XV საუკუნეები, როცა ვიწროვდება არა მარტო ქართული კულტურის გავრცელების არეალი (ჩრდილოეთ კავკასიაში ფეხს იკიდებს ისლამი; სამხრეთით ქართული მიწა-წყლის ნაწილი ოსმალთა იმპერიის ხელში ექცევა), არამედ იკვეცება მთლიანად აღმოსავლურქრისტიანული ცივილიზაციის საარსებო ტერიტორია, 1453 წელს კი არსებობას წყვეტს ამ სამყაროს ბირთვი – ბიზანტია, რის შემდეგ საქართველო (თანაც პოლიტიკურად დაშლილი) გარშემორტყმული აღმოჩნდა მაკ-

³³⁵ კეკელიძე კ. დასახ. ნაშრ., გვ.10.

³³⁶ ქიქოძე გ. ახალი კულტურის მიჯნაზე. – ქიქოძე გ. რჩეული თხზ. სამ ტომად, ტ. II, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1964, გვ.184.

³³⁷ კეკელიძე კ. დასახ. ნაშრ., გვ.10.

მადიანური სახელმწიფოებით. ვიდრე ეს პროცესები მიმდინარეობდა და საქართველოს ახალი, მაჰმადიანური ცივილიზაციური გარემოცვა ყალიბდებოდა, ანუ სწორედ XIII-XV საუკუნეებში, ქართული კულტურა შეიძლება განვიხილოთ როგორც მარგინალური – მართლმადიდებელ ქრისტიანულ და მუსლიმურ სამყაროთა შორის, როგორც „დასავლეთის აღმოსავლეთი“ და „აღმოსავლეთის დასავლეთი“ (საქართველოსათვის დასავლეთად, როგორც ზემოთაც ვთქვით, მაჰმადიანური ხანტია გამოდის).

V. XVI-XVII საუკუნეებში საქართველოს პოლიტიკური ეკონომიკური და, რაც მთავარია, კულტურული კონტაქტები მკაცრად შემოსაზღვრულია მუსლიმური სამყაროს ფარგლებით და, უკიდურეს შემთხვევაში, აღარ არსებობს პოლიტიკური, კულტურული და ცივილიზაციური არჩევანის შესაძლებლობა. ამდენად, ძნელია ვისუბროთ ამ პერიოდის ქართული კულტურის მარგინალურ მდგომარეობაზე, რომელიმე ორ კულტურულ თუ ცივილიზაციურ ერთობას შორის, იმიტომ რომ საქართველოს ცივილიზაციური გარემოცვა, როგორც ვთქვით, ცალსახად მაჰმადიანურია. მართალია, მას ჩრდილოეთიდან თანდათან უახლოვდება რუსეთის მართლმადიდებლური სახელმწიფო, მაგრამ თავად რუსეთის კულტურული და ცივილიზაციური რაობა მხოლოდ ჩამოყალიბების საფეხურზეა; მიუხედავად საერთო მართლმადიდებლური მსოფლმხედველობრივი საფუძვლისა, ქართული კულტურისათვის რუსეთი სრულიად უცხო კულტურული სამყაროა, ერთმორწმუნეობა პოლიტიკური ორიენტაციის საფუძველი კი ხდება, მაგრამ, კულტურული და ცივილიზაციური გარემოცვის თვალსაზრისით, ეს ჯერჯერობით ვერაფერს ცვლის. ამდენად, ქართული კულტურა შეიძლება განვიხილოთ როგორც უცხო (არა უცნობ) კულტურულ გარემოცვაში მოქცეული მთლიანობა, რომელიც ცდილობს, ამ ახალ გამოწვევაზე პასუხის მოძებნის გზით შეინარჩუნოს საკუთარი სახე და არ იქცეს გარემომცველი კულტურის ნაწილად. ამ დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, მარგინალობის გამოცდილება, მუშაობს კულტურის მახასიათებლები, ჩამოყალიბებული მარგინალობის პერიოდში. ყალიბდება ადაპტაციური მექანიზმი, რომლის მეშვეობით ქართული კულტურა XVIII საუკუ-

ნის ბოლოდან ჩამოყალიბებულ ახალ ცივილიზაციურ გარემოცვას ადაპტაციური (მაჰმადიანურისაგან განსხვავებული, თუმცა მისით დაკავშირებული) მახასიათებლებით ხვდება.

VI. XIX ს. დასაწყისიდან 60-იან წლებამდე საქართველოს კულტურული თანდათანობით ყალიბდება ახალი ცივილიზაციური გარემოცვა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური, მხოლოდ ახალი ბირთვით – რუსეთით. დასახელებული პერიოდი მასთან ადაპტაციის ხანაა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი XIX საუკუნიდან საქართველო სულ უფრო ახლოს ეცნობოდა ევროპას, თუმცა ეს ცნობობა, ძირითადად, რუსეთით იყო გაშუალებული. როგორც კაკაბანელი აღნიშნავდა, „ქართული კულტურის დირიჟორად XIX ს. მეორე ნახევარში ისევ რჩება აღმოსავლეთი, სპარსული გემოვნებითა და ესთეტიური ფილოსოფიით“³³⁸, მაგრამ ევროპის გავლენა თანდათან საგრძნობი ხდება კულტურის ყველა სფეროში. კაკაბანელი მასთან და შვილთან ბრძოლასაც ქართულ კულტურაში დასავლური და აღმოსავლური ტენდენციების დაპირისპირებით ხსნიდა³³⁹.

VII. XIX ს. 60-იანი წლებიდან, კავკასიაში რუსეთის გაბატონების შედეგად, საქართველო თანდათან მოწყდა მისთვის კარგად საცნობი აღმოსავლური-მუსლიმური კულტურას და აღმოსავლურქრისტიანულ ცივილიზაციურ გარემოში მოექცა. ოღონდ ამ ცივილიზაციას ახალი ბირთვი ჰქონდა – რუსეთი, რომელიც თავადაც თვით დადგინების სტადიაზე იყო და რომლის ირგვლივ პერიფერიის ჩამოყალიბება პოლიტიკური, და არა კულტურული ნიშნით მიმდინარეობდა. ამავე დროს, ამ ცივილიზაციის ბირთვშიც (რუსეთი) და პერიფერიაზეც (მაგალითად, ჩეხნო) მძლავრად იჭრებოდა დასავლური (ევროპული) ნაკადები. შესაბამისად, ქართულ კულტურის წინაშე აქტიურად დადგა დასავლურქრისტიანულ და რუსულ-მართლმადიდებლურ ცივილიზაციათა შორის საკუთარი ადგილის განსაზღვრის საკითხი, რომელიც განსაკუთრებულ აქტუალობას იძენდა საქართველოს პოლი-

³³⁸ კაკაბანელი კ. ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი. – კაკაბანელი კ. ქართული სული ესთეტიკურ სახეებში. თბ., 1996, გვ.108.

³³⁹ იქვე, გვ.121.

ტიკური დამოუკიდებლობის პერიოდებში - 1918-1921 წლებში იგივე საუკუნის 90-იანი წლებიდან.

დღეს ქართული კულტურა კვლავ ცივილიზაციური იდეოლოგიის პრობლემის წინაშე დგას. მისი ამჟამინდელი ცივილიზაციური გარემოცვა შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

1) დასავლურსა და სლავურ-მართლმადიდებლურ ცივილიზაციებს შორის გახლეჩილი რუსეთი, რომლის პოლიტიკურ ნაწილს საქართველო წარმოადგენდა XIX-XX საუკუნეებში. რუსეთის სახელმწიფო წარმოდგენილ მართლმადიდებლურ-სლავურ ცივილიზაციასთან საქართველოს ბიზანტიური (აღმოსავლეთქრისტიანული) კულტურული მემკვიდრეობაც აკავშირებს, თუმცა ცივილიზაციურ ერთობას საუბარი ფრიად პრობლემურია.

2) დასავლურსა და მუსლიმურ ცივილიზაციებს შორის გახლეჩილი თურქეთი და, მთლიანად, მეზობელი მუსლიმური ცივილიზაცია. საქართველოს ბოლო რამდენიმე საუკუნის ისტორია ამ ცივილიზაციისაგან მკაფიო გამიჯვნის ნიშნითაა აღბეჭდილი. მის ცალკეულ ნაწილებთან ქართულ კულტურას მთელი თავისი არსებობის მანძილზე უშუალო და მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა. ამ კონტაქტის შედეგად მასში დაილექა მრავალი მანასიათებელი, რომელიც ქართულ კულტურას აღმოსავლეთთან აახლოებს. მაგრამ იგი არასდროს აღდგენდა თვითიდენტიფიკაციას აღმოსავლეთთან, მკაფიოდ განასხვავებდა თავს აღმოსავლური კულტურებისაგან. შესაძლოა, ამის მიზეზი სწორედ მუდმივი და მეტად მჭიდრო კონტაქტი იყო.

3) აქტუალობას ინარჩუნებს კავკასიის კულტურული და ცივილიზაციური რაობის პრობლემა, მისი მთლიანობად განხილვის შესაძლებლობისა თუ შეუძლებლობის საკითხი, რომელიც ცალკე განხილვის საგანია. შესაბამისად, დგება მთლიანად კავკასიის ან მისი ცალკეული ნაწილების ამა თუ იმ ცივილიზაციასთან მიმართების საკითხები.

4) დასავლური ცივილიზაცია, რომლის ნაწილად ყოფნის დამტკიცებას საქართველო, რამდენიმე საუკუნეა, ბეჯითად ცდილობს. XIX საუკუნის ევროპელ ინტელექტუალთა აზრით, შავიზღვისპირეთში მდებარე კოლხეთი ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი წერტილი

მისი მცხოვრებნი კი „კავკასიურ, ანუ ევროპულ ტომს განეკუთვნებოდნენ“ და დასავლეთთან იყვნენ დაკავშირებული³⁴⁰. წინა აზია იმ ხელუბრებლად, წინკარად, რომლის გავლითაც ხვდებოდა ევროპაში ბიზანტიელები, რომლებიც აქ ჩანასახის სახით ვლინდებოდა, ჩამოყალიბებულ სახეს კი მხოლოდ ევროპის მუდმივად მშენებარე ნაგებობაში იღებდა. მაგრამ ყამთა მსვლელობამ ევროპის ეს საპარადო მსვლეელი თანდათან „ქრისტიანობის აზიური პროვინციის“³⁴¹ უკან კარად აქცია, რომელიც ისე დაშორდა ძირითად შენობას, რომ მის ფუნქციადაკარგულ ნანგრევად იქცა. მთელი შემდგომი ისტორიის მანძილზე ქართველები იმის დამტკიცებას ცდილობდნენ, რომ ეს ბიზანტიური სტილის, მშვენიერი წინკარი აუცილებელი და უკანონო ნაწილია იმ ევროპული ნაგებობისა, რომელიც ქრისტიანობამ შეადგინა. ეს იყო მოლოდინითა და იმედგაცრუებით დასავლეთის ბრძოლა ევროპაში ინტეგრაციის უფლების მოსაპოვებლად, რომელიც დღესაც გრძელდება. საქართველოსა და ევროპას შორის დამაკავშირებელი, შუალედური რგოლის სახით ხან რუსეთი განიხილებოდა, ხან - ხმელთაშუაზღვისპირეთი, რომლის ფარგლებში მკვლევართა ნაწილი ბალკანურ-კავკასიურ ტიპს გამოყოფს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: დასავლურ სამყაროსთან (დღევანდელი და მასთან მიახლოებული გაგებით) ჩვენი მიმართების პრობლემა, როგორც ჩანს, სათავეს სწორედ ბიზანტიის დაცემის შემდეგ იღებს, რადგან, ჯერ ერთი, თავად დასავლეთის (ევროპის) სახე სწორედ მაშინ და კიდევ უფრო მოგვიანებით კალიბდება; მეორე, ბიზანტიის დაცემით არსებობა შეწყვეტა იმ კულტურულმა ერთობამ, რომლის ფარგლებში თავს მოიაზრებდა ქართული კულტურა. შეიძლება ვთქვათ ასეც: ბიზანტიის დაცემით დასრულდა აღმოსავლეთქრისტიანული ცივილიზაციის არსებობის ერთი ეტაპი და სათავე დაედო მეორეს, როცა ამ ცივილიზაციის ცენტრის, ბირთვის ფუნქციამ რუსეთზე გადაინაცვლა. მასში საქართველოს

³⁴⁰ Hegel G.W.Fr. Vorlesungen über die Philosophie der Weltgeschichte. Berlin, 1970, p. 239, 414.

³⁴¹ Herder I.G. Ideen zur Philosophie der Geschichte der Menschheit. Berlin, 1923, p.577.

კულტურულ-ცივილიზაციური ინტეგრაცია არ მომხდარა, პოლიტიკურად საქართველო თანდათან მის ნაწილად იქცა. სრულად უმართებულო ჩანს თვალსაზრისი, თითქოს ბიზანტიის დასაქართველო მოწყდა ევროპას და დღეს (და ადრეც – მაგალითურსეთთან დაკავშირების გზით) ჩვენ ამ ისტორიული „უიღბლო“ გამოსწორებას ვცდილობთ. საქმე ისაა, რომ შეუძლებელია მისი იმას, რისი ნაწილიც არ ყოფილხარ. ჩვენთვის დასავლეთი ბიზანტი იყო და არა ევროპა.

ევროპისადმი საქართველოს ისტორიული კუთვნილების დღეს ფრიად „მოდურია“, სწორედ ამიტომ აუცილებელია, მკაფიოდ გავემიჯნოთ ერთმანეთისაგან ამ პრობლემის პოლიტიკური და მნიერული ასპექტები. პოლიტიკური თვალსაზრისით, საკითხის დაყენება სავსებით გასაგებია. რაც შეეხება ჩვენი დასავლური მწარაგების ისტორიული საფუძვლების კვლევას, ამ მხრივ გასაკლებელი გაკეთებულზე გაცილებით მეტია. პრობლემის შესწავლა და აქრონულ ჭრილში, ინტეგრალური და კომპარატივისტული ანალიზის მოშველიებით საშუალებას მოგვცემს, თვალი მივადევნოთ სუბკულტურის შინაგან მახასიათებელთა დინამიკას და სხვა კულტურებთან/ცივილიზაციებთან მის მიმართებას. ამგვარი მუშაობა სავადასხვა დარგის მკვლევართა ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება დასკვნები დამაჯერებელი და პერსონალიზაციის სქემაც უფრო მკაფიო სახეს მიიღებს.

6. კულტურული და ცივილიზაციური იდენტურობის პრობლემის კვლევის ინტერდისციპლინური ასპექტები

კულტუროლოგია, როგორც ინტერდისციპლინა, დამოუკიდებელი დარგად, არცთუ ისე ხანგრძლივი არსებობის მიუხედავად, სხვადასხვა სახელით (კულტურული და ცივილიზაციური კვლევები, კულტურული ანთროპოლოგია და სხვ.) ყველა ქვეყანაში დამკვიდრდა და კვლევისა და სწავლების მხრივ სერიოზული გამოცდილება დააგროვა. დღეს სადაოდ აღარ ითვლება არც მისი პრობლემატიკის

კვლევის მეთოდებისა და არც კულტუროლოგიისათვის დამახასიათებელი მეთოდოლოგიური პლურალიზმის მეცნიერული ღირებულება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენში ამ დარგის მიმართ მნიერული დამოკიდებულება დღესაც ვკვებება.

თანამედროვე ეტაპზე, ინტერდისციპლინური კვლევების ეპოქის სადაოდ აღარ ითვლება საკვლევ სფეროებს შორის ამა თუ იმ კონკრეტული პრობლემის განაწილების საკითხი. დარგთაშორისი კავშირების დაძლევის აუცილებლობაზე, „ანალების“ სკოლის წარმადგენლებიდან მოყოლებული, ხაზგასმით მიუთითებენ მრავალი საკვლევასხვა დარგისა და მიმართულების წარმომადგენლები. ინტერდისციპლინურობის პრობლემა დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. მნიერული სამეცნიერო თუ პრაქტიკული საკითხი მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია კვლევის ინტერდისციპლინურ მეთოდთან.

დასავლეთში ინტერდისციპლინური მეთოდი არა მხოლოდ გამოიყენება კონკრეტულ კვლევებში, არამედ მიმდინარეობს მსჯელობაშიც არსზე, ღირებულებაზე, გამოყენების სფეროებსა და პერსპექტივებზე, არსებობს ინტერდისციპლინური ჟურნალები და ინტერდისციპლინური პრობლემების შემსწავლელი ცენტრები; რეგულარულად ტარდება სამეცნიერო კონფერენციები. ამ კონფერენციებსა და ჟურნალების ფურცლებზე უმეტესწილად სწორედ კულტუროლოგიური სახის ნაშრომები ხვდება, რომლებშიც მშვიდობიანად თანაარსებობს ისეთი, ერთი შეხედვით, ერთმანეთთან დაუკავშირებელი დარგების მონაცემები, როგორებიცაა: – ისტორია და ფიზიოლოგია; კულტურათა ტიპოლოგია და ნეირობიოლოგია; ისტორია, ხელოვნების ისტორია, ოპტიკა და გეომეტრია; ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია და გარემოს დაცვის სფეროში განხორციელებული კვლევები; ხელოვნების ისტორია და ფსიქოლოგია და სხვ.³⁴²

უკანასკნელ დროს სულ უფრო ხშირად ვხვდებით სამეცნიერო თუ პრაქტიკულ პრობლემებს, რომლებიც ვერ თავსდება ერთი კონკრეტული დისციპლინის ფარგლებში. როგორც დანიელ სტრუპა აღნიშნავს, „კვლევის თანამედროვე სფეროები ჰიბრიდთა კატეგორიას განეკუთვნება

³⁴² იხ., მაგ.: Seipel M. Interdisciplinarity: An Introduction. – <http://www.truman.edu/~mseipel/terdisciplinarity.pdf>